**საქართველოს მთავრობის**

**დადგენილება №295**

**2023 წლის 8 აგვისტო**

**ქ. თბილისი**

**„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის („საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“) 22-ე მუხლის:

**1. მე-7 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7. 21-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სტაციონარული მომსახურება (გარდა ნეონატალური ასაკის (ნეონატალურ ასაკში დაწყებული) ინტენსიური მოვლისა/მკურნალობისა (№1.2 დანართის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) და სხვა სტაციონარული მომსახურებისა, კომბუსტიოლოგიის (დანართი №1.2-ის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისა (დანართი №1.1-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“, დანართი №1.3-ის პირველი პუნქტის „გ.გ“ და მე-2 პუნქტის „გ.გ“, დანართი №1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტები), მშობიარობისა/საკეისრო კვეთისა (დანართ №1.5-ის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები და მე-2 პუნქტი), გულის თანდაყოლილი მანკების მკურნალობისა (დანართი №1.11), თრომბოლიზისის/თრომბექტომიისა (ინსულტის შემთხვევაში) და დანართი №1.12-ით („სტომატოლოგიური მომსახურება ზოგადი ანესთეზიით“) განსაზღვრული მომსახურებისა) ფინანსდება დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების დაფინანსების (DRG) მეთოდით, ამასთან:“.

**2. $7^3$ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $7^4$ პუნქტი:**

„$7^4$. ნეონატალური ასაკის (ნეონატალურ ასაკში დაწყებული) სტაციონარული მომსახურების (გარდა №1.2 დანართის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა) ანაზღაურება ხდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს განმახორციელებლის მიერ დადგენილი ტარიფისა, რომელიც მტკიცდება სააგენტოს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სამინისტროსთან შეთანხმებით.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**